MES 8 22 0001262035

10/10/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი
ნინო ჩიკვაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
ნათია კილაძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ნანა მონიავა - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს სხივი
დავით ჯიქია - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ჯეო სქაი სქული
მადონა ხარატიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
სალომე წიკლაური - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი
ნანა ედიშერაშვილი
ლელა ფიცხელაური

შპს სხივი
ირინა დვალი
ვერა ყურულაშვილი

შპს ჯეო სქაი სქული
მაკა ტუკვაძე
მარიამ ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ჯეო სქაი სქულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა ედიშერაშვილმა და ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 23, 24 და 25 აგვისტოს. ექსპერტის თქმით, სკოლა განთავსებული იყო ორ ლოკაციაზე: ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში. ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ ქ. ქუთაისში განთავსებული შენობის ფართი მოიცავდა 1951 კვ.მ-ს. მან, აქვე დაადასტურა, რომ აღნიშნულ ლოკაციაზე წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფდა დაწესებულებაში უსაფრთხო და მოსწავლეებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. ნანა ედიშერაშვილმა განმარტა, რომ

ქ. ბათუმში ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესისთვის აშენდა ახალი შენობა და სარემონტო სამუშაოები სრულდებოდა 2022 წლის 26 სექტემბერს. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილი N04/195 – 15/08/2022, რომლითაც ითხოვს, აღნიშნულ შენობაში, სწავლის დაწყების 2022 წლის 10 ოქტომბრამდე გადავადებას. ექსპერტის თქმით, ეს ცვლილება არ გამოიწვევდა მოსწავლეთა ინტერესების დაზიანებას. ნანა ედიშერაშვილმა დასძინა, რომ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, სკოლას, სწავლის დაწყებამდე, უზრუნველეყო დაწესებულების ქ. ბათუმში მდებარე შენობის ექსპლუატაციაში მიღება. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ვიზიტის დროს დაათვალიერეს როგორც ახალაშენებული შენობა, ასევე, ძველი შენობა, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს მიღებული ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების College Board -ის პროგრამების აკრედიტაცია/ავტორიზაცია და მოსწავლეებს სთავაზობდა აკრედიტირებულ ინგლისურენოვან პროგრამებს. გარდა ამისა, დაწესებულებას მინიჭებული ჰქონდა, როგორც ამერიკული საერთაშორისო სკოლის (American International School) დაწყებითი და საბაზო საფეხურის (I-IX კლ.), ასევე, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებაში არ ფიქსირდებოდა ხარვეზი, თუმცა ექსპერტების მხრიდან სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, გაიცა რეკომენდაციები. ნანა ედიშერაშვილის თქმით, დაწესებულების წარმომადგენლები ითვალისწინებდნენ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ნანა ედიშერაშვილმა დაადასტურა, რომ 2019 წელს გეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაწესებულების საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა დაასახელა, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგნებს წიგნიერების, მედია-წიგნიერების, მომავლის პროფესიების, STEM-სა და ჭადრაკის მიმართულებით.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლაში ორივე ლოკაციაზე ირიცხებოდა 1057 მოსწავლე. მისი თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით სავალდებულო საგნებს, როგორებიც იყო: ბიზნეს განათლება I-X კლასში, წიგნიერება I-V კლასში, მედია წიგნიერება და ციფრული მოქალაქეობა მე-X კლასში, ლოგიკა, უნარები I-IX კლასში, STEM III-IX კლასში და სხვ. ექსპერტის განმარტებით, სკოლა, ასევე, ახორციელებდა ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ჰქონდა აკადემიური შეფასების განსხვავებული წესი.
ექსპერტ, ნანა ედიშერაშვილის განმარტებით, XI-XII კლასებში ძირითადი საგნების სწავლების პარალელურად მიმდინარეობდა მოსწავლეთა მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. ამისთვის კი სკოლას ცხრილში ჩასმული ჰქონდა „აბიტურის საათები“. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია „აბიტურის საათები“ ჩაენაცვლებინა ფაკულტატური მეცადინეობებით, რადგანაც „აბიტურის საათი“ ემსახურებდა „CAT“ გამოცდებისთვის მე-XII კლასის მოსწავლეთა მომზადებას, ხოლო აღნიშნული გამოცდები უკვე მოხსნილი იყო. ნანა ედიშერაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში, ასევე, ხორციელდებოდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის დოკუმენტაცია, თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები, სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტების დეტალურად დაგეგმილი პაკეტები სხვადასხვა კლასებისა და საგნების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების მექანიზმი. ექსპერტ, ნანა ედიშერაშვილის თქმით, მოცემულ დოკუმენტებში იკვეთებოდა შემდეგი: სკოლა მიმართავდა კონსტრუქტივისტულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ, კვლევით პროცესებს, რათა სიღრმისეულად მომხდარიყო თითოეული მოსწავლის თავისებურების განსაზღვრა და მისთვის საჭირო ხელშემწყობი გარემოს ფორმირება.
ნანა ედიშერაშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა ასევე, დაწესებულების მიერ წარჩინებული მოსწავლეებისათვის სტიპენდიების გაცემა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, თუ რამდენად ასრულებდნენ მასწავლებლები წლიურ ანგარიშებს თვითშეფასებისა და პროფესიული სამოქმედო გეგმების მიხედვით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებლების პორტფოლიოები და სადამრიგებლო პროგრამები. თავად მასწავლებლების ანგარიშები კი არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ექსპერტის თქმით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები წლიურ ანგარიშებს წარადგენდნენ პედაგოგიურ საბჭოზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რამდენად შეძლებდა დაწესებულება ქ. ბათუმის ლოკაციაზე მათ მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის მიღებას სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში სრულდებოდა სარემონტო სამუშაო. მან აქვე, დაადასტურა, რომ სკოლა მზად იყო მიეღო 800 მოსწავლე. აღნიშნული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ჩიკვაშვილმა დაადასტურა, რომ ქ. ბათუმის ლოკაციაზე არსებული სკოლის ახალი შენობა მზად იყო მიეღო მოსწავლეები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ფლობდა თუ არა დაწესებულება შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს ან ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ჩიკვაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა დაიდებოდა უახლოეს დღეებში, რომელიც დაადასტურებდა შენობის უსაფრთხოებას, რის საფუძველზეც შეძლებდნენ სასწავლო პროცესის დაწყებას. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, შენობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლეოდა სასწავლო პროცესის დაწყების საშუალებას. სკოლის წარმომადგენელმა, აქვე, დასძინა, რომ 2022 წლის 10 ოქტომბერს დაიწყებოდა სასწავლო პროცესი. მისი თქმით, 112-ის სამსახურის შეფასებით, დაწესებულებას ყველაზე მაღალი შეფასება უსაფრთხოებისა და მდგრადობის მიმართულებით ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რას მოიმოქმედებდა დაწესებულება ახალი შენობის მოსწავლეებთან მიმართებით, იმ შემთხვევაში თუკი სკოლა ვერ მიიღებდა ექსპერტიზის შესაბამის დასკვნას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუკი სკოლა ვერ მიიღებდა ექსპერტიზის დასკვნას, ახალი შენობის მოსწავლეებს გადაიყვანდნენ ძველ შენობაში.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, იყო თუ არა ჩართული ქ. ბათუმის მუნიციპალური ზედამხედველობის

სამსახური მშენებლობის საკითხში. სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ჩიკვაშვილმა დაადასტურა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახური სკოლის მშენებლობის საკითხში აქტიურად იყო ჩართული.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ შემდეგი საკითხი, კერძოდ, 10 ოქტომბრამდე დაწესებულება მიიღებდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას, თუ შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტს. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ეცდებოდნენ მიეღოთ შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტი, მისი განმარტებით, სამხარაულის დასკვნა საკმარისი იყო სასწავლო პროცესის დაწყებისათვის. სკოლის წარმომადგენელმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტის წარდგენა ვერ მოესწრებოდა 10 ოქტომბრამდე.
აქვე, საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაწესებულებას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაწყების ნებას დართავდა. შესაბამისად, საბჭოც მიიღებდა საექსპერტო დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუკი დაწესებულება მიიღებდა ავტორიზაციას, მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ხოლო 2022 წლის ბოლომდე ცენტრში წარმოედგინა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.
აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას ქ. ბათუმში შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 800 მოსწავლისათვის, ხოლო ქ. ქუთაისში 800 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი, მათ შორის ქ. ქუთაისში 800-ით და ქ. ბათუმში 800-ით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს (ს/კ: 212807550) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით, მათ შორის ქ. ბათუმში 800-ით და ქ. ქუთაისში 800-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული და ინგლისური ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022 წლის 10 ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ქ. ბათუმში არსებული ახალი შენობის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ხოლო 2022 წლის ბოლომდე ცენტრში წარმოედგინა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. შპს სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 5 და 6 აგვისტოს. ექსპერტის განმარტებით, სკოლა სხივი მდებარეობდა ქალაქ მარტვილში, დაწესებულება განთავსებული იყო ორსართულიან შენობაში, რომლის ფართიც შეადგენდა 2461მ²-ს. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ფიზიკურ პირთან 2022 წლის 7 აპრილს 6 წლის ვადით. ექსპერტ, ირინა დვალის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა წინა ეზო, რომელიც იყო გამწვანებული.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო 17 საკლასო ოთახი, 260 მერხი, დაწესებულებას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერების ოთახი, ბიბლიოთეკა, სასადილო და დიდი სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილი იყო სპორტული ინვენტარით და მაყურებელთა სკამებით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მატერიალური რესურსის ნაწილთან დაკავშირებით დაუფიქსირდა ხარვეზი. ექსპერტის განმარტებით, შენობის ორივე სართულზე იყო საევაკუაციო გეგმები გამოკრული, რომლებიც შედგენილი იყო ინდ. მეწარმე გოჩა ხურცილავას მიერ. ირინა დვალის თქმით, დაწესებულებამ ექსპერტებს ვერ წარუდგინა აღნიშნული პირის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტის განმარტებით, საევაკუაციო გეგმებზე არ იყო დატანილი პირობითი ნიშნები. ექსპერტის განცხადებით, სკოლამ იმავე დღეს მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის რეგიონალურ ცენტრს და ვიზიტის პერიოდშივე წარმოადგინა ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

ირინა დვალის განცხადებით, სკოლას ჰქონდა 30 ვიდეო კამერა, 21 შიდა პერიმეტრზე, ხოლო 9 გარე პერიმეტრზე. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესყიდვის დოკუმენტაციაში არ მოიპოვებოდა სამეთვალყურეო კამერების შეძენის ფინანსური დოკუმენტაცია. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას დაწესებულებამ განაცხადა, რომ კამერების შეძენის ამსახველი დოკუმენტაცია იყო დაკარგული.

ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. ირინა დვალის განმარტებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კლასში გამოვლენილი ტენდენციები და სპეციფიკური საჭიროებები, რომლის

მიხედვითაც მასწავლებლები მოახდენდნენ უკუკავშირს. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, სკოლას დინამიკაში ეწარმოებინა მონიტორინგი და წარმოედგინა მოსწავლეთა გაუმჯობესებული შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა იყო ზოგადი და იმეორებდა ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას პირველ სართულზე ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, რომლის კარიც იღებოდა შიგნით. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ კარი გაღებულიყო გარე მიმართულებით, რათა ეტლით მოსარგებლე მოსწავლისთვის მოსახერხებელი ყოფილიყო სველი წერტილის გამოყენება.
ირინა დვალმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სახანძრო დაფები, სადაც განთავსებული იყო წყლის ჭავლი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლას შეეძინა ცეცხლმაქრები და დაემონტაჟებინა საევაკუაციო გეგმების მიხედვით.
ექსპერტის თქმით, სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ ცნობები. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ცნობები არ იყო გათვალისწინებული სკოლის შინაგანაწესით, შესაბამისად, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში დასაქმებული იყო 31 პედაგოგი, მათ შორის წამყვანი სტატუსი ჰქონდა 3 მასწავლებელს, უფროსი - 20-ს, 1 პედაგოგი იყო მაძიებელი, ხოლო 7 - სტატუსის გარეშე. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას კანონმდებლობის სრული დაცვით ჰქონდა გამოცხადებული კონკურსები, თუმცა შესაბამისი კადრის ვერ შერჩევის გამო, სკოლას დასაქმებული ჰყავდა უსტატუსო მასწავლებლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, მისი თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო კონკრეტული დებულებები, რომლებიც უნდა არეგულირებდნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს, მაგალითად, არ იყო კათედრის დებულება, საქმისწარმოების დებულება და ა.შ. მას ასევე აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ხარისხის მართვის დებულება და ვინ იყო პასუხისმგებელი პირი ხარისხის მართვის მიმართულებით.
ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის სტრუქტურაში იყო შეფასების ჯგუფი, რომლის საქმიანობის შესახებაც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არაფერი იყო აღნიშნული. დაწესებულების დებულების შინაარსი არ შეესაბამებოდა სკოლის მიზნებს. მისივე თქმით, დაწესებულებას არ ჰყავდა საინფორმაციო სამსახურის უფროსი, თუმცა საშტატო განრიგით ეს თანამდებობა იყო გათვალისწინებული, დარღვეული იყო შრომის კოდექსის მოთხოვნის მე-14 მუხლი. კერძოდ, არ იყო გაწერილი ხელფასი, ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი და ყველა დადებული ხელშეკრულება იყო ერთწლიანი, რაც არ შეესაბამებოდა შრომის კოდექსს.
ექსპერტმა, ირინა დვალმა უპასუხა, რომ სკოლას ჰქონდა ყველა ზემოთ აღნიშნული დებულება, რომელსაც ექსპერტები ვიზიტის პერიოდში გაეცნენ ადგილზე.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა საბჭოს წევრს, ეკატერინე კვირიკაშვილს, უპასუხა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი იყო სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც ხარისხის მართვის საკითხებს ზედამხედველობდა. ხარისხის მართვასთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო რეკომენდაცია, რომ მშობლებისა და მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კითხვარებით მიღებული ინფორმაცის გაეანალიზებინა.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის პოზიცია დროებით შეთავსებული ჰქონდა დირექტორის მოადგილეს. სკოლა გეგმავდა ახალი მენეჯერის აყვანას. დაწესებულებას უკვე დაწყებული ჰქონდა ხელშეკრულებების გასწორების პროცესები. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, უსტატუსო მასწავლებლებმა ჩააბარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი გამოცდები და მოიპოვეს სტატუსი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას უკვე გამზადებული ჰქონდა ახალი ხელშეკრულებების ფორმები, რომლებიც ამოქმედდებოდა ახალი სასწავლო წლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სხივის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 04 ოქტომბრის N121 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 04 ოქტომბერს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 04 ოქტომბერს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სხივს (ს/კ: 235445693) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 04 ოქტომბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომა, 16:10 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ.

3. შპს ჯეო სქაი სქულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექპერტთა დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 01 და 02 სექტემბერს. ექსპერტის განცხადებით, სკოლა იყო ახალი სუბიექტი, რომელსაც შემუშავებული ჰქონდა მისია და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ეროვნული სასწავლო გეგმის გარდა, სკოლა გეგმავდა მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო საგნების შეთავაზებას. ექსპერტის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებს ერთ-ერთ საგნად სთავაზობდა ხელგარჯილობას, რომელიც გულისხმობდა შრომის გაკვეთილებს და ეყრდნობოდა პრაქტიკულ სამუშაოებს. ექსპერტის განცხადებით, საგანს წაუძღვებოდა სკოლის დირექტორი, რომლის თქმით, აღნიშნული საგანი ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს განევითარებინათ სამეწარმეო უნარ-ჩვევები.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განცხადებით, სკოლაში იყო გახანგრძლივებული სწავლება, რის ფარგლებშიც, მოსწავლეებს სთავაზობდნენ ორჯერად კვებას და დასვენების საათებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა კლასს ჰყავდა ტუტორი. შემუშავებული იყო ტუტორის დებულება და ის უფლებამოსილი იყო დასწრებოდა გაკვეთილებს, რათა თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ჰქონოდა ინფორმაცია. როგორც ექსპერტმა განმარტა, ტუტორის მოვალეობებში შედიოდა მშობლებთან კომუნიკაციაც.
მაკა ტუკვაძის თქმით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომლის პრინციპებიც თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწესებულებამ, ექსპერტთა მიერ პირველ სტანდარტთან დაკავშირებით მიიღო რეკომენდაცია, რათა სავალდებულო დამატებითი მომსახურების დროს, ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლას ჰქონოდა მხოლოდ განმავითარებელი შეფასებები. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ მიიღო აღნიშნული რეკომენდაცია და გადაწყვიტა, რომ მიმდინარე შეფასება იქნებოდა განმავითარებელი, ხოლო საბოლოო შეფასება იქნებოდა ჩათვლის სისტემით.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია და სკოლა აპირებდა ეხელმძღვანელა სტრატეგიით - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება სასწავლო წლის ბოლოს მოახდენდა თვითშეფასებას SWOT-ანალიზის მეთოდით.
ექსპერტის განმარტებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა N38-ში. სკოლის ფართი შეადგენდა 1100 მ²-ს. შენობა ქუჩის მხრიდან იყო 2 სართულიანი, ხოლო უკანა მხრიდან ოთხ სართულიანი, რომლის ნულ სართულზე განთავსებული იყო სარდაფი. შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობის შიდა ფართი წარმოადგენდა 655,17მ²-ს. ექსპერტის განცხადებით, სკოლის დამფუძნებლებმა აღნიშნეს, რომ ფართი იყო დროებითი, რადგან სკოლისთვის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით უნდა აშენებულიყო ახალი შენობა. ექსპერტები დაინტერესდნენ ახალი შენობის მიმდინარე სამუშაო პროცესებით. დამფუძნებლების განცხადებით, ახალი შენობისთვის შერჩეული იყო ადგილი, კრწანისი ჩიხი 1, N23-ში. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა საჯარო რეესტრში გადაამოწმეს აღნიშნული მისამართი, რომელიც იყო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებლის კუთვნილება. დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო 2022 წლის 3 აგვისტოს. ხელშეკრულების თანახმად, სკოლის შენობის აგებას დაჭირდებოდა 30 თვე. ექსპერტის განმარტებით, სკოლის სტრატეგიული განვითრების გეგმაში ასახული იყო, რომ შპს ჯეო სქაი სქულს 2025-2026 სასწავლო წლიდან ექნებოდა ახალი შენობა. აღნიშნული ვადები შეესაბამებოდა სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადებს.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განცხადებით, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში დეტალურად იყო გაწერილი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხები. ექსპერტის თქმით, დაწესებულების დამფუძნებლების სურვილი იყო, რომ სკოლას ჰქონოდა დაშლილი

თვითმფრინავების მუზეუმი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ერთ-ერთი დამატებითი მომსახურების სახე იყო ავია-მოდელირება. მაკა ტუკვაძის განცხადებით, დაწესებულება გეგმავდა მომავლის ლაბორატორიის შეძენას. ასევე, სივრცის მოწყობას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მოსწავლეებისთვის დასვენება, სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი სივრცის მოწყობა აუზით. დამატებითი მომსახურებით მოსწავლეებს სთავაზობდნენ ცურვის წრეს. სკოლა ორიენტირებული იყო სოციალურ პროგრამებზე და აპირებდა 12 სოციალურად დაუცველი მოსწავლის დაფინანსებას.
ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები, რათა შეფასების რუბრიკებში შეეტანათ კორექტირება. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებისა.
ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ სკოლას დასაქმებული ჰყავდა 28 მასწავლებელი. მისი თქმით, სკოლა ვალდებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N174ნ ბრძანების მიხედვით განცხადება განეთავსებინა Pedagogi.ge-ზე. მარიამ ხუციშვილის განმარტებით, სკოლა მდებარეობდა შპს კრწანისი სკოლა - კრწანისი მარჯის ბაზაზე და შესაბამისად, აღნიშნულ ვებ-გვერდზე განცხადების განთავსებისას ისარგებლა შპს კრწანისი სკოლა - კრწანისი მარჯის სახელით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ როდის აპირებდა დაწესებულება მოსწავლეთა მიღებას.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულება მზად იყო მიეღო მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო წლიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 160 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯეო სქაი სქულის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ჯეო სქაი სქულს (ს/კ: 404632876) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა